საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030405363945419

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/9388 **22 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის
დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ ნინო ოდიშარიას

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2019 წლის 20 თებერვლის № 01/2851 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის № 3148-რს დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხს, გაცნობებთ:

სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტების მომზადებაში.

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილების დანართის (2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად, **სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი** (ქ. თბილისის მასშტაბით), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები (რეგიონების მასშტაბით) უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგს, მე-13 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის განმახორციელებლის მიერ, შერჩევის პრინციპით. მონიტორინგის პროცესში ხდება მიმწოდებელთან განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შეტყობინებისას მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, მიმწოდებლისაგან მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნა, საჭიროებისამებრ, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და შემთხვევასთან დაკავშირებულ სხვა პირებთან გასაუბრება. თუმცა, სააგენტოს კომპეტენციიდან გამომდინარე, მონიტორი შემოიფარგლება მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების ან შემთხვევის შესახებ შეტყობინების სისტემაში მიწოდებულ, შესაბამისი ინფორმაციის ადგილზე შემოწმებით და არ ახორციელებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს.

სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის N3148-რს დადგენილებით გაცემული შესასრულებელი რეკომენდაციების **„შ"** პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს გადაეგზავნათ საინსტრუქციო წერილი, რომლითაც ეცნობათ, რომ შესწავლის პროცესში, სხვა მნიშვნელოვან გარემო ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მშობლებთან/მოდავე მხარეებთან ბავშვის ურთიერთობის გარემოებების აღწერაზე, მათ შორის, ბავშვისა და მშობლების/მოდავე მხარეების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე, აღნიშნულ პირებს შორის ღია კონფლიქტის/

დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში - ბავშვზე გავლენის არსებულ და მოსალოდნელ შედეგებზე, აგრეთვე, რომელიმე მშობლის/მოდავე მხარის მხრიდან ბავშვზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის/ზეწოლის არსებობის სავარაუდო ფაქტზე და ყოველივე ხსენებულის გამორკვევის შედეგების შესახებ ეცნობოს სასამართლოს. თუ შესწავლის პროცესში (სასამართლო დავის არსებობის მიუხედავად) გამოვლინდება ბავშვზე ფსიქოლოგიური ან/და სხვაგვარი ძალადობის სავარაუდო ფაქტები, საჭირო ხდება კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების განხორციელება.

ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არასრულწლოვანის ურთიერთობა ორივე მშობელთან, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, ისე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად, საქმეზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ ერთ-ერთი მხარე/მშობელი ვერ ურთიერთობს შვილთან მეორე მშობლის/მხარის ან ბავშვის წინააღმდეგობის გაწევის გამო და იმავდროულად, გამოიკვეთება, რომ ამ მშობელთან ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მხარეებს უნდა გაეწიოთ სათანადო კონსულტაცია და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ კონსულტაციის გაწევას დადებითი შედეგი არ მოჰყვება, საკითხი უნდა მოწესრიგდეს სასამართლოს გზით, რისთვისაც მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივმა ორგანომ სასამართლოსგან უნდა მოითხოვოს (თუ მხარეები ამას არ ითხოვენ) დროებითი განკარგულების გამოცემა იმგვარი პირობებით, რაც შესაბამისობაში იქნება ბავშვის ინტერესებთან.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე არასრულწლოვნის ორივე მშობელთან ურთიერთობის უზრუნველყოფას, ტერიტორიულ ერთეულებს მიეცათ განმარტება, რომ დროულად განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები (შეტყობინების გაგზავნა ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ, წერილობითი შეტყობინება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობების წარდგენის შესახებ, საჭირო გარემოებების მოკვლევა და შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი სანქციების განხორციელება და ა.შ.).

მითითებული სახის შემთხვევის შესწავლის/საქმისწარმოების პროცესში, ტერიტორიულ ერთეულებს მიეცათ ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ საჭიროა გამოიკვეთოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს სასამართლოს, ხოლო სააღსრულებო მოქმედებების წარმოების შემთხვევაში, დაიგეგმოს და განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები.

საჭიროების შემთხვევაში, საქმეში ფსიქოლოგის დროულად ჩართვასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე, არ განხორციელებულა ფსიქოლოგის საშტატო ერთეულის ზრდა არც თბილისში და არც რეგიონებში.

რაც შეეხება **„ყ“** პუნქტს, გაცნობებთ, რომ არასრულწლოვანის მიმართ ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირების, შესწავლის, შეფასების და საჭიროების შემთხვევაში დროულად ხდება მათი გადაყვანა შესაბამის სერვისში. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლიდან დაემატა ორი მობილური ჯგუფი (1 თბილისი და 1 რუსთავი), რომლებიც მუშაობენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან. ასევე, მიმდინარეობს კოორდინირებული მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

„ჩ" პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2017-2018წწ-ში, შეფასდა სასკოლო განათლების მიღმა დარჩენილი 43 მიუსაფარი (ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე) ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები და ყველა ჩაერთო განათლების პროცესში. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის N3148-რს დადგენილებით გაცემული შესასრულებელი რეკომენდაციების **„ჰ4“** და **„ჰ5“** პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

www.worknet.gov.ge-ზე სისტემატურად რეგისტრირდება სამუშაოს მაძიებელი. რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა ერთ-ერთი სეგმენტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სისტემაში, დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 6 705 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

ხორციელდება დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებული შშმ პირების დამუშავებული და სრულყოფილი მონაცემების ბაზაში განთავსება. ასევე, მიმდინარეობს წინა მოსამზადებელი სამუშაო www.worknet.gov.ge-ს სისტემასთან შშმ პირთა (ამ ეტაპზე უსინათლოების) ადაპტირების მოდელების შერჩევისთვის.

2016-2018 წლებში, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა კომუნიკაციის გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. კერძოდ, ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან ერთად ჩატარდა 8 ფორუმი (თბილისი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი), რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ღონისძიების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე, ფორუმში მონაწილე დამსაქმებლები. 2017 წლის 7-8 ივლისს და 6-7 ოქტომბერს და 2018 წლის 27-28 აპრილს და 14-15 სექტემბერს. რეგიონული და ცენტრალური მედიისა და დაინტერესებული მხარეებისათვის (ადგილობრივი არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები და დამსაქმებლები), დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა ჩაატარა ტრენინგ/სემინარი, სადაც წარმოდგენილი იყო მოხსენებები დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებებისა და აქტივობების შესახებ. მხარდაჭერითი დასაქმების მომსახურების დანერგვის და გაწევის თაობაზე, სამიზნე ჯგუფების ცნობიერების დონის

ამაღლების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა დღის ცენტრებთან, გავრცელდა საინფორმაციო მასალები სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში.

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვის აქტივობის ფარგლებში დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა შშმ პირთათვის მოიძიეს ვაკანტური ადგილები. თბილისსა და 5 რაიონულ განყოფილებაში, მხარდაჭერითი მომსახურება 2016-2017 წლებში გაეწია 519 შშმ პირს, 2018 წელს 0 274 შშმ პირს.

აღნიშნული აქტივობები „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამისა“ და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობს 2019 წელსაც.

ასევე, 2019 წელს ქვეყნის ყველა რეგიონულ ცენტრში, დაგეგმილია მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებით დაკომპლექტების ღონისძიებები.

სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებს განკუთვნილი საკითხების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ:

ჰ[9]. „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებაში ცვლილების შეტანით უზრუნველყოს განსახლების სოციალური კრიტერიუმის საარსებო შემწეობის მისაღებად დადგენილ ქულებთან შესაბამისობა;

რეკომენდაციის შესაბამისად, 2018 წლის 10 ოქტომბერს, მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და განსახლების სოციალური კრიტერიუმი შესაბამისობაში მოვიდა საარსებო შემწეობის მისაღებად დადგენილ ქულებთან.

ჰ[10]. სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია ეკომიგრანტთა შესახებ;

ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე moh.gov.ge.

ჰ[11]. უზრუნველყოს იმ ეკომიგრანტთა ოჯახების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რომლებიც მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ, მათი პრიორიტეტული განსახლებისთვის;

რეკომენდაციის შესაბამისად, სამინისტრომ 2018 წლის 20 დეკემბერს, გარემოს ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა 2013 წლიდან დღემდე, სააგენტოს მიერ მომზადებული გეოლოგიური დასკვნები. მოწოდებულია დაახლოებით 4000-მდე ოჯახის შესახებ დასკვნა და ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მიღებული მონაცემების დამუშავება.

ჰ[12]. დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით გააგრძელოს მუშაობა დევნილთა საჭიროებებისთვის მორგებულ დახმარებაზე გადასასვლელად და უზრუნველყოს ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც დევნილთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იქნება ორიენტირებული;

საანგარიშო პერიოდში, სამინისტრო ინტენსიურად მუშაობდა დევნილის შემწეობის დევნილთა საჭიროებებზე მორგების საკითხზე. სამინისტროს მიერ შემუშავებული ხედვის განხილვისა და დაინტერესებული მხარეებისგან წინადადებების მიღების მიზნით, გაიმართა 20-ზე მეტი შეხვედრა დევნილებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. როგორც შეხვედრებიდან მიღებული რეკომენდაციების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, საჭიროა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესის გაგრძელება, რათა შერჩეულ იქნეს ისეთი შემწეობის მოდელი, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული დევნილთა საჭიროებებზე და დაეფუძნება საზოგადოების ფართო ჯგუფებს შორის მიღწეულ კონსენსუსს.

მე-12 პუნქტის შესაბამისად გაწეული რეკომენდაციების შესახებ:

· ბ) გააგრძელოს 2004−2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის პროცესი:

აღნიშნული პროცესი გრძელდება. 2018 წელს გამოიცა მთავრობის განკარგულება, 98 ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, მიმდინარე წელსაც იგეგმება დაახლოებით 100-მდე ოჯახისათვის უძრავი ქონების დაკანონება. ამ ეტაპზე, საცხოვრებელი სახლების დაახლოებით 60%-ი უკვე დაკანონებულია;

· გ) 2018 წელს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში, პრიორიტეტი მიანიჭოს ნგრევადი და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა განსახლებას;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში, პრიორიტეტი ენიჭება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის მქონე ობიექტებიდან იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა გრძელვადიან განსახლებას. აღნიშნული პროცედურა რეგულირდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მცხოვრები დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლებით უზრუნვეყოფას კრიტერიუმების გარეშე.

ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, დევნილთა მომართვის საფუძველზე, სამინისტროს დაკვეთით, 2018 წელს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესწავლილ იქნა 23 ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. აღნიშნულისა და 2018 წლამდე სამინისტროში უკვე არსებული დასკვნების საფუძველზე, 2018 წლის განმავლობაში დაიხურა 28 ნგრევადი და სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტი და გრძელვადიანი საცხოვრებლით, კრიტერიუმების გარეშე, ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მდებარე ახალაშენებულ კორპუსებში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად არსებული საცხოვრებელ ფართებით დაკმაყოფილდა 337 დევნილი ოჯახი.

· დ) გააგრძელოს დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების მდგრადობის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შემოწმება ან განაახლოს არსებული დასკვნები;

სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბენეფიციართა წერილობითი მომართვის საფუძველზე, პერმანენტულად ახორციელებს მოთხოვნის გადაგზავნას სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ახალი საექსპერტო დასკვნის, ან უკვე შესრულებულის განახლების მიზნით. 2018 წლის პერიოდში მომზადებული 28 დასკვნიდან, 21 პირველადია, ხოლო 7 განახლებულია დევნილთა მომართვის საფუძველზე.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თამაზ მოდებაძე